



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 137

ქ. გარდაბანი

29/12/2021

137-06-4-202112291559



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2021 წლის 23 დეკემბრის N226 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

### მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის **გურამი თუშიშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - **გიორგი შინჯიკაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

### მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გურამი თუშიშვილი – 1000 (ათასი) ლარი, პ/ნ

გიორგი შინჯიკაშვილი – 500 (ხუთასი) ლარი, 3/5

### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

